ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

თეზისები

20-21 ივლისი
თბილისი
2022

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**
ასოც. პროფესორი **ეკატერინე ნავროზაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი **ნინო პოპიაშვილი**
ისტორიის დოქტორი **მიხეილ ქართველიშვილი**
სტუდენტი **ირინა ნოზაძე**

ნინო ალენიკოვი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა და სახელმწიფო დოკუმენტაციის ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
დემოკრატიული რესპუბლიკა, ემიგრაცია, ეროვნული არქივი

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე

1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ძლიერი და საინტერესო ფიგურები, რომლებიც სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის დაუღალავად შრომობდნენ. 1921 წლის თებერვალში რუსეთის წითელი არმია შემოიჭრა, ჯარი მოადგა თბილისს, საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

მთავრობას ემიგრაციაში წასვლა მოუწია იმ იმედით, რომ ევროპის დახმარებით მალე დაიბრუნებდნენ სამშობლოს, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. მათ თან წაიღეს სახელმწიფო დოკუმენტაცია, რომელსაც ემიგრაციაში განაგებდა ეროვნული მთავრობის წევრებისგან შემდგარი კომისია (ე. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, კ. კანდელაკი, ნ. ცინცაძე, გ. ერაძე, ს. ასათიანი, გ. ცინცაძე). შემდეგ, ნოე ჟორდანიას ინიციატივით, არქივისა და წიგნთსაცავის მომვლელ-შემნახველი კომისიის თავმჯდომარედ გიორგი ერაძე დაინიშნა. 1944 წლის 1 აგვისტოს ევგენი

გეგეჭკორის ხელმოწერით პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ინსტიტუტს შესანახად ჩაბარდა ქართული ეროვნული არქივი. რამდენჯერმე იქნა მოწვეული სხდომა, იცვლებოდნენ კომისიის წევრები, თავმჯდომარეები, პარიზში დოკუმენტაცია დიდხანს ინახებოდა, თუმცა 1974 წლიდან არქივის ნაწილი გადავიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1996 წელს ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ოფიციალურად ეწვია საფრანგეთს. ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა და გადაწყდა ეროვნული არქივის სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

ემიგრაციაში მყოფთათვის რთული დღეები იდგა. მართალია, შორს იმყოფებოდნენ, თუმცა ერთი დღეც არ ყოფილან სამშობლოს გარეშე. სიკვდილის წინ მიხეილ (მიხაკო) წერეთელი იტყვის შემდეგს: *„მოვხუცდი, მივდივარ, მაგრამ ამ ცხოვრებაში ჩვენ არ ვყოფილვართ მცონარენი, უქნარი: რაღაც მაინც გავაკეთეთ, რაღაც მაინც გავაკეთეთ! მშვიდობით!“*

ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დოკუმენტაციასთან ერთად ემიგრაციაში წაიღეს ეროვნული საგანძური, რომლის მეპატრონედ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. ეროვნული განძი და სახელმწიფო დოკუმენტაცია სწორედ ამ ადამიანთა წყალობით იქნა დაცული და შემდგომ უკვე საქართველოში დაბრუნებული.

სერგი ადამია
რატი ხოტივრიშვილი

დავით აღმაშენებლის თანამედროვეთა მიერ შეფასების საკითხისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
საქართველოს ისტორია, დავით აღმაშენებელი, რეფორმები

ხელმძღვანელი:
ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია

დავით IV აღმაშენებელი, გაერთიანებული საქართველოს რიგით მეხუთე მეფე, უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. მის სახელს უკავშირდება თურქ-სელჩუკებისგან აოხრებული ქვეყნის აღმშენებლობა, გამთლიანება და განვითარება, რამაც საფუძველი ჩაუყარა XII-XIII საუკუნეების დასაწყისის საქართველოს ოქროს ხანას. დავით მეფის სახელს უკავშირდება არაერთი რეფორმა, რომელიც მიზნად მხოლოდ ერთ რამეს ისახავდა – საქართველოს გაძლიერებას. ეს რეფორმები ეხებოდა უპირველესად სამხედრო სფეროს, რასაც უნდა აღეკვეთა სელჩუკთა მარბიელი ლაშქრობები და ხალხი დაცარიელებულ სოფელ-ქალაქებში უნდა დაებრუნებინა, რასაც მოჰყვა ვაჭრობის, ხელოსნობისა და ეკონომიკის განვითარება. ძლიერი ჯარის შექმნით დავითმა მოახერხა ერთიანი საქართველოსგან დაცალკევებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებაც. მისი სამხედრო რეფორ-

მების შედეგის კულმინაციად კი 1121 წლის 12 აგვისტოს დიდ-გორში მოპოვებული გამარჯვება იქცა.

დავით IV ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ფიგურაა რო-გორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში, მაგრამ განსაკუთ-რებით საინტერესოა, რას ფიქრობდნენ მეფეზე მისი თანამედ-როვეები, ის ხალხი, რომელსაც დავით მეფე მართავდა და მისი რეფორმები და სამხედრო კამპანიები პირადად შეეხო. ჩვენი მიზანია, რომ დავით აღმაშენებლის მმართველობა ამ კუთხით გავაშუქოთ.

ლილი ბარათელი

სოფოკლეს „ანტიგონე“ და „ორი სიმართლის“ თეორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
კანონი, სახელმწიფო, ოჯახი

ხელმძღვანელი:
ასისტენტ-პროფესორი ანა ლეთოდიანი

ძველი ბერძენი დრამატურგი სოფოკლე ანტიკური კულტურის ოქროს ხანის სულისკვეთებას ნათლად გამოხატავს. სოფოკლეს შემოქმედებითი სამყარო სცდება ამბის რეალისტური ასახვის მანერას. მისთვის საინტერესო იყო არა რეალურ, არამედ იდეალურ პიროვნებათა მხატვრული სახის ჩვენება.

სოფოკლემ ერთ-ერთი ასეთი იდეალური პიროვნებების სახე ტრაგედია „ანტიგონეში“ წარმოაჩინა.

მოხსენების თეორიულ ბაზისად შევარჩიეთ ჰეგელის ე. წ. „ორი სიმართლის“ თეორია. ის უმეტესად ანტიკური ტრაგედიის გმირებს (ანტიგონე, ოიდიპოს მეფე) მიესადაგება, რადგან მათ შემთხვევაში, ორგვარ სიმართლესთან გვაქვს საქმე – პიროვნულსა და საზოგადოებრივთან. ეს „ორივე სიმართლე“ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და ამდენად, წამოქმნის გარდაუვალ კონფლიქტს, რაც ჰეგელის „ესთეტიკაში“ კოლიზიადაა სახელდებული. „ანტიგონე“ თანამედროვეობაშიც არ კარგავს აქტუალობას. მან წარმოშვა შეკითხვები, რომლებზეც ცალსახა

პასუხი არ არსებობს და დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა: „ვინ არის მართალი: კრეონი თუ ანტიგონე?“

საკვლევად შერჩეულ ტრაგედიაში რამდენიმე ასპექტი შეიძლება გამოვყოთ:

1. ერთმანეთს უპირისპირდება ორი მხარე: ოჯახი და სახელმწიფო. ასევე, ღვთაებრივი და ადამიანური კანონები;
2. დაპირისპირებულ მხარეთაგან კრეონიც და ანტიგონეც მართალია: ანტიგონე ოჯახს იცავს, კრეონი – სახელმწიფოს;
3. ტრაგედიაში ერთმანეთს უპირისპირდება არა ცალსახად გამოკვეთილი კეთილი/ბოროტი ან სამართლიანობა/უსამართლობა, არამედ „ორი სიმართლე“.

მოხსენების მიზანია, ჰეგელის ე. წ. „ორი სიმართლის“ თეორიაზე დაყრდნობით გავიაზროთ სოფოკლეს „ანტიგონე“, გამოვკვეთოთ და გავაანალიზოთ ორი ტიპის – საზოგადოებრივი და პიროვნული კონფლიქტი.

გიორგი ბარნაბიშვილი

ყვარყვარე IV ათაბაგისა და მისი ძმის – მანუჩარის ურთიერთობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთის იმპერია, მანუჩარი და ყვარყვარე

ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულებისთვის XVI-XVII საუკუნეები ურთულესი პერიოდია. ამ პერიოდში ორი ისლამური სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა ომებმა ამ ტერიტორიაზე თითქმის გაჩანაგების პირას მიიყვანა სოფლის მეურნეობა და სხვა რიგი სფეროები. „საქართველოები“ ანუ ქართული სამეფო-სამთავროები თავისი მეფე-მთავრებით მუდმივად ატარებდნენ ლავირების პოლიტიკას, ზოგი საკუთარი პოლიტიკური ერთეულების გადასარჩენად, ზოგიც კი, ძირითადად ქართლის სამეფო, ერთიანი საქართველოს ინტერესიდან ამოდიოდა.

საინტერესოა, რა პოლიტიკას ატარებენ 1570-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს მესვეურები, რა შიდაპოლიტიკური ურთიერთობები არსებობდა იქ, რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი სამცხე-საათაბაგოში ოსმალების ლაშქრობამდე და ლაშქრობის შემდეგ, რატომ „უპირისპირდებოდა“ მანუჩარ ჯაყელი თავის ძმას – ათაბაგ ყვარყვარე IV-ს და ნამდვილად უპირისპირდე-

ბოდა თუ არა, რატომ დაუკავშირდნენ ოსმალები მანუჩარს, რა სურდათ მისგან და რა გამოვიდა ამ საქმიდან; ასევე, რისი მიღება სურდა ოსმალეთის მესვეურებთან ურთიერთობით მანუჩარს, რა მიიღო და რა ვერა მის მიერ ისლამის აღიარების მიუხედავად.

ჩვენი მოხსენების ძირითადი მიზანია, ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა, რასაც უკვე ცნობილ და ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ (თურქეთის არქივებში დაცული ოსმალური საბუთები) დოკუმენტებზე დაყრდნობით შევეცდებით.

ელენე ბასილაშვილი
ანა ლაცაბიძე

დარუბანდთან მოსახლე ქინდას არაბული ტომის შესახებ ალ-ფარიკის მიხედვით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ალ-ფარიკი, არაბები კავკასიაში, ქინდას ტომი

ხელმძღვანელი:
დოქტორანტი ომიკო ეჯიბია

აჰმად იბნ იუსუფ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი იყო XII საუკუნის ცნობილი არაბი ისტორიკოსი და მოგზაური, რომელიც დაიბადა ქალაქ მაიაფარიკინში (დღევანდელი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ქალაქი სილვანი). იგი საქართველოში ჩამოვიდა 1153 წელს და რამდენიმე წელი გახლდათ მეფე დემეტრე I-ის სამსახურში. მისი ისტორიული ხასიათის თხზულებაა „მაიაფარიკინის ისტორია“, რომელშიც განხილულია რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობები, ავტორის პირადი შეხედულებები და ამბები.

რაც შეეხება არაბებს, ისინი კავკასიაში VII საუკუნის 40-იანი წლებიდან გამოჩნდნენ. არაბთა ლაშქრობების საფუძველზე არაბულ-ისლამური მმართველობა დამყარდა, რის შედეგადაც აღმოსავლეთ საქართველო, ისტორიული სომხეთი და ისტორიული ალბანეთი იქცნენ არაბული სახალიფოს პროვინციებად. ამის შემდეგ იწყება არაბული ტომების განსახლება კავკასიის რეგიონში.

ალ-ფარიკის ერთ-ერთი ცნობის თანახმად, როდესაც ის თან ახლდა დემეტრე I-ს დარუბანდში, იქ მას შეხვდნენ ერთ-ერთი სამხრეთ-არაბული ტომის – ქინდას წარმომადგენლები, რომლებიც ქალაქის მახლობლად სოფლებში სახლობდნენ. თავად ალ-ფარიკის ვარაუდის მიხედვით, ეს ტომი ერაყიდან უნდა გამოქცეოდა მუხთარ იბნ აბუ უბაიდა ას-საკაფის მმართველობას. მიზეზი იმისა, თუ რამ განაპირობა მათი მიგრაცია კავკასიაში, განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ ეს რეგიონი ყველაზე უსაფრთხო ადგილი უნდა ყოფილიყო მუხთარ ას-საკაფის მოწინააღმდეგეებისთვის. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა ქინდას ტომს თავისუფალ გარემოში უსაფრთხოდ ეცხოვრა. აღსანიშნავია, რომ იმავე ალ-ფარიკის გადმოცემაში ქინდას ტომის წარმომადგენლები საუბრობენ მათი ცხოვრების სიმშვიდესა და კარგ მდგომარეობაზე. ჩანს, მრავალეთნიკურ კავკასიაში ისინი კარგად გრძნობდნენ თავს. მათ შეიცვალეს ცხოვრების წესი და მკვიდრ მოსახლეობად იქცნენ.

კვლევის მიზანია, ალ-ფარიკის ცნობების მიხედვით აღვწეროთ, თუ რამ გამოიწვია ქინდას არაბული ტომის მიგრაცია კავკასიაში, როგორ შეინარჩუნეს მათ საკუთარი იდენტობა 500 წლის შემდეგ, როგორი იყო მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XII საუკუნეში და რა დამოკიდებულება არსებობდა ადგილობრივ მმართველობასთან.

თამარ ბორაშვილი

მითოსსა და რეალობას შორის – არქეტიპული სახეები თამარ ნადირაძის შემოქმედებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
თამარ ნადირაძე, ხელოვნება, სიმბოლური ნიშნების სისტემა

ხელმძღვანელი:
თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

ახალი თაობის ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა თამარ ნადირაძე დაიბადა გორში და სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში წიგნის ილუსტრატორის სპეციალობით. მხატვარი რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს ფერწერის მიმართულებით და თავის სურათებში აკვირდება თანამედროვე სოციალურ ცხოვრებასა და ხელოვნების ახალ ფორმებს, რომელთა ვიზუალიზაციასაც საკუთარი ინტერპრეტაციით გვთავაზობს. იგი დაინტერესებულია მხატვრული დიალოგით სოციალურ ცხოვრებასა და ანთროპოლოგიას, მითოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის. ამასთანავე, როგორც ახალი თაობის ქალი მხატვარი, დიდ ყურადღებას უთმობს ქალის არქეტიპული სახის ტრანსფორმაციას თანადროულ საზოგადოებაში.

წინამდებარე მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია 2022 წელს (27 აპრილი-22 მაისი) დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში გამართული გა-

მოფენის – „XX-XXI საუკუნის ხელოვნება კერძო კოლექციებიდან“ – ექსპოზიციაში ჩართულ თამარ ნადირაძის რამდენიმე ნამუშევარზე. გაანალიზებული იქნება ავტორის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ასახავს მითოსსა და სოციალურ რეალობას შორის მიჯნას. განხილულია ის იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური ნიშნები, რომლებიც ერთი მხრივ, ეროვნული კულტურული კოდისა და მეორე მხრივ, დასავლური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნების სინთეზსს წარმოგვიდგენს. ნაჩვენები იქნება, თუ რა როლს თამაშობს სიმბოლური ნიშნების სისტემა მხატვრის ფერწერულ სახეებში და როგორ ხდება ინდივიდის კულტურულ მეხსიერებაში დალექილი არექტიპული სახეების ტრანსფორმაცია და ციტირება ახალ ვიზუალურ ფორმებში.

ელენე გამსახურდაშვილი

თრეში – „ნორმად მიღებული უნორმობა“ – თანამედროვე ამერიკულ კულტურაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
თრეში, კულტურა, უნორმობა

ხელმძღვანელი:
ამერიკისმცოდნეობის დოქტორი მარიამ ხატიაშვილი

1970-იანი წლების ბოლოს ამერიკულ საზოგადოებაში ჩნდება ახალი კულტურული ტალღა „თრეში“ რომელიც ეწინააღმდეგება წინა მიმდინარეობების დამოკიდებულებას ცხოვრების მიმართ. ყველა ლიტერატურული მიმდინარეობის მსგავსად, თრეშსაც (*Trash* – ქართ. ნაგავი) თავისი როლი აქვს და ჰყავს მიმდევრები, რაც აუცილებელი პირობაა ნებისმიერი მოძრაობის არსებობისთვის. თრეშმა ღირებულებების გადაფასებისა და გემოვნების ცვლილების ახალი ტენდენციები წარმოქმნა.

მოხსენების მიზანია იმის გაანალიზება, თუ როგორ გარდაიქმნა თრეში „ნორმად მიღებულ უნორმობად“ თანამედროვე კულტურაში. კვლევაში განხილულია ამ მიმდინარეობის იდეალები, მიზნები და თავისებურებები, აღწერილია თრეშის ღირებულებები და მათი მიმართება ესთეტიკასთან და მორალთან. კვლევაში ასევე შესწავლილია თრეშის გავრცელების არეალი კულტურისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში – ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მუსიკასა და მედიაში. თრე-

შის, როგორც მიმდინარეობის უკეთ გასააზრებლად, კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მისი იდეალებისა და მიზნების წარმოჩენაზე. თრეშის სპეციფიკურობას უმთავრესად ის განაპირობებს, რომ იგი თავისი არსით რეალიზმის ნაწილიცაა, თუმცა რეალობის იმაზე მეტად დამახინჯებასა და უხეშად აღწერას ემსახურება, ვიდრე იგი სინამდვილეშია. მისთვის უცხოა ტაბუდადებული თემები, ესთეტიკა, იმედის ქონა და სხვა. კვლევაზე დაფუძნებით შეიძლება ითქვას, რომ თრეში თავიდან ბოლომდე ვულგარულობის, გარყვნილების პროპაგანდას ეწევა.

აღნიშნული კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს, მათ შორის, ისტორიასა და კულტურის მეცნიერებებს. კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით, თრეშისთვის არ არსებობს საზღვრები; ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული, მორალის მიღმაა და სიბილწის აპოლოგიით ხასიათდება. მას არ აქვს მკაცრად განსაზღვრული გავრცელების არეალი – გვხდება როგორც ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მუსიკაში, ასევე მედიაში. თუ ადრე პიროვნების ინტელექტუალურ დონეს მისი მაღალი გემოვნება განსაზღვრავდა, დღესდღეობით თრეში საპირისპირო აზრს ამკვიდრებს. ასე რომ, თანამედროვე კულტურაში თრეშის დიდი პოპულარობიდან გამომდინარე, ადამიანის ინტელექტუალური დონის ინდიკატორი შეიცვალა.

ირა გელაძე

ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, როგორც ეთნოგრაფიული წყარო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ქართველები, ბურჟუაზია, ტრანსფორმაციული პროცესები

ხელმძღვანელი:
თსუ ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი

ქართულ ისტორიოგრაფიაში არც თუ ისე მრავლად გვხვდება წყაროები, რომლებშიც სრული სიზუსტითაა შემონახული მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რეალობა. ჩვენთვის ცნობილია ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც იმდროინდელი რეალობა სრული სიცხადითაა წარმოდგენილი, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ როგორც ეთნოგრაფიული წყარო, ისე გამოვიყენოთ და აღვადგინოთ იმ ეპოქის ყოფა-ცხოვრება, ტრანსფორმაციული პროცესი.

მოცემული ნაწარმოებით ნათელი ხდება ხალხთა კულტურული და სოციალური განსხვავებულობა. რაც მთავარია, მკვეთრად ჩანს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ეროვნული ხასიათი. სოფლად მცხოვრებ გლეხ ქართველებს მძიმე ისტორია აქვთ, ისინი შრომითა და ჯაფით მისდევენ მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, მევენახეობას, უვლიან და ცდილობენ ასე მოახერხონ მცირედი შემოსავლის მიღება, რაც საარსებოდ აუცილებელია. მათგან რადიკალურად განსხვავებულია ქალაქის მკვიდრთა ყოველდღიურობა. საყურადღებოა ჩარჩებისა

და კინტოების განსხვავებული ცხოვრების წესი. საზოგადოებაში დიდი ძვრები შეინიშნება; ჩნდება ახალი სოციალური ფენა, განსხვავებული ცხოვრებით. მას იმდროინდელ წარჩინებულ საზოგადოებაში სათანადო ადგილის დამკვიდრების სურვილი აქვს. ხშირად მათი საზოგადოებრივი საქციელი ირონიის საგანიც კი ხდება არისტოკრატიის თვალში. ამ ყველაფრის ფონზე იკვეთება საზოგადოების ნაწილი, რომელიც ოპერასა და თეატრში სიარულით ცდილობს განათლებულ ხალხში დამკვიდრებას.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რომანში ასახულ მოზაიკას, საზოგადოების მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობას. ცხადი ხდება, რომ სადაც საზოგადოების ერთი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს (სიცივისა და შიმშილისაგან სიკვდილის პირასაა), მეორე ნაწილი ცდილობს კიდევ უფრო გამდიდრებას. ამასთან, ყალიბდება საზოგადოების ახალი ფენა – ბურჟუაზია. აქედან გამომდინარე, ბურჟუაზია საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას სხვადასხვა გზით ცდილობს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ იმ პერიოდში ერთადერთი საზრუნავი უმრავლესობისათვის რაიმე გზით ფულის შოვნა და გამდიდრება იყო, ოღონდ ვერ აცნობიერებდნენ იმას, რომ ის მატერიალური სარგებელი, რაც ჰქონდათ, გამოეყენებინათ და „ღვაწლით“ ნაშოვნი ფული საგულდაგულოდ არ „შეენახათ“მიწაში.

დაკვირვებისა და კვლევის მიზანია არდაზიანის ნაწარმოებზე, როგორც ეთნოგრაფიულ წყაროზე, დაყრდნობით მე-19 საუკუნის რეალობის აღდგენა. ქართველთა კულტურისა და ყოფის წარმოჩენა, ამასთანავე, იმდროინდელი ქალაქის სილრმეში არსებული რეალობის გაცხადება და საზოგადოებაში დამკვიდრებული მანკიერი მხარეების განხილვა.

ია გოლიაძე

1992–1993 წლებში მიმდინარე აფხაზეთის ომის საერთაშორისო გამოხმაურება და ძირითადი შეფასებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
აფხაზეთის ომი, საერთაშორისო გამოხმაურება, წინააღმდეგობები

ხელმძღვანელი:
დოქტორანტი ირაკლი ნოდია

მოხსენების მიზანია გამოვიკვლიოთ, თუ რა საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომმა. საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანი იქნება, რათა გამოვკვეთოთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მაშინდელ დიდ სახელმწიფოებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, რა ძირითადი წინააღმდეგობები არსებობდა საქართველოსთვის საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნული თემის აქტუალობა განაპირობა აფხაზეთის ომის გეოპოლიტიკურმა მოცემულობამ, ადამიანის უფლებების მასობრივმა დარღვევებმა და საფრთხეებმა, რომლებმაც საერთაშორისო სისტემაში ახლად წარმოშობილი ქვეყნის სუვერენიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებები დაიგმო, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ნეიტრალურად უყურებდა აფხაზეთის ომს. დიდი სახელმწიფოები, ძირითადად, შემოიფარგლებოდნენ საქართველოსთვის მორალური მხარდაჭერის გა-

მოცხადებით, რაც აიხსნება იმ მიზეზით, რომ საქართველო მაშინ ახლად გაჩენილი იყო საერთაშორისო სისტემაში, 1992 წელს გაწევრიანდა გაეროში, მსოფლიო არ ელოდა, თუ ომი დაიწყებოდა საქართველოში, შესაბამისად, ისინი ამ გამოწვევას მოუმზადებლებლები შეხვდნენ.

საყურადღებოა ომის შემდგომი მდგომარეობა და თვით ქართული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოს, როგორც ომგამოვლილი სახელმწიფოს საკითხის ევროპაში აქტუალიზების საქმეში. საბოლოო ჯამში, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი თუ საგარეო ინტერესები გარკვეულწილად უგულებელყოფილი იქნა და არც რაიმე ღირებული ნაბიჯი გადადგმულა.

წარმოდგენილი მოხსენება ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. შეირჩა კოგნიტური კარტირება, რომლითაც შევისწავლით ცალკეული ევროპელი ლიდერის განცხადებებს და გამოვიტანთ ცალკეულ დასკვნებს. კონტენტ-ანალიზის გამოყენებით შეგვიძლია გამოვკვეთოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. საკითხის გამოკვლევისას გამოვიყენეთ პირველადი და მეორეული წყაროები სხვადასხვა სპეციალისტის მოსაზრებების გასაცნობად.

ნინო გორხელაშვილი

დავით ნარინის მემკვიდრეების ბრძოლა სამეფო ტახტისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
დავით ნარინის შტო, ვახტანგ II, დასავლეთ საქართველო

ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

დასავლეთ საქართველოს მეფის – დავით VI ნარინის (1247-1293) შემდეგ მისმა შვილებმაც გააგრძელეს სამეფოს მართვა. უფროსი ვაჟი, მამის სიცოცხლეშივე გამეფდა, ხოლო მომდევნო შვილებმა დავითის გარდაცვალების შემდეგ მიიღეს ტახტი. მოხსენების მთავარი თემა სწორედ დავით ნარინის შტოს ისტორიაა. მოხსენებაში ნაჩვენებია, რა უფლებები ჰქონდათ მის შვილებს, რა ტერიტორიას მოიცავდა მათი სამფლობელოები და როდის ჩამოშორდა ეს შტო ქვეყნის მართვას.

დავით ნარინს ოთხი შვილი ჰყავდა: ვახტანგ II, კონსტანტინე, მელქისედეკი და ალექსანდრე (მხოლოდ ამ უკანასკნელს არ უმეფია). ვახტანგი 1289 წელს გამეფდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც წესი, მას დასავლეთ საქართველოს ტახტი ეკუთვნოდა მემკვიდრეობით, თუმცა დემეტრე თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ტახტზე ავიდა ხუტლუბუღა მანკაბერდელის, არღუნ ყაენისა და დავით ნარინის, ჩვენი აზრით, არაკანონიერი შეთანხმების შედეგად.

ვახტანგ II-ის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა: გამეფებიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა და აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დემეტრეს ძე დავითი ავიდა. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველო კვლავ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო და იქ დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილებმა გააგრძელეს ქვეყნის მართვა. კონსტანტინე და მიქელი დაპირისპირებულები იყვნენ მემკვიდრეობის გამო. მეფე გახდა კონსტანტინე, მაგრამ მიქელმა რაჭასა და არგვეთზე გაავრცელა თავისი მმართველობა. თუმცა, როდესაც მისი ძმა გარდაიცვალა, ერთადერთ მემკვიდრედ მაინც მიქელი დარჩა, რადგან კონსტანტინეს ვაჟები არ ჰყოლია.

დავით ნარინის შვილებმა მის სიცოცხლეშივე (აღმოსავლეთ საქართველოში) და გარდაცვალების შემდეგ (დასავლეთ საქართველოში) მიღეს სამეფო ძალაუფლება. სამეფო ტახტისთვის უცხო არ ყოფილა ერთმანეთს შორის წარმოებული ბრძოლები. დავით ნარინის მემკვიდრეების მმართველობა 1329 წელს, გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდში, დასრულდა.

სალომე ზაქარიაძე

ფრაგმენტები გიორგი გამყრელიძის უცხოეთში გამოცემული პოეტური კრებულიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
გიორგი გამყრელიძე, პოეტური კრებული, „ლურჯი მონოკლი“

ხელმძღვანელი:
თსუ ასოცირებული პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე

გიორგი (გუგული) გამყრელიძე ქართული ინტელექტუალური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გიორგი გამყრელიძე გამოსცემს არაერთ პოეტურ კრებულს: „შემოდგომის ჭიანურები“ (თბილისი, 1920 წ.), „დალურსმული ხელები“ (ლიტერატურული ფსევდონიმით გრიგოლ ზოდელი, თბილისი, 1922 წ.), „ლურჯი მონოკლი“ (პარიზი, 1932 წ.), „გვიანი რთველი“ (სანტიაგო დე ჩილე, 1960 წ.).

გარდა პოეტური კრებულებისა, ვაშინგტონში 1963 წელს გამოდის გიორგი გამყრელიძის წიგნი „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“.

საფრანგეთში გამოცემული პოეტური კრებული „ლურჯი მონოკლი“ დაიბეჭდა ქართულ ენაზე და იყოფა ქვეთავებად: „ოქროს ვერძი“, „საქართველო“; „ვრცელი ქალაქები“, „უცხოეთი“; „როსინანტი“, „დონ კიხოტის რაშები“.

ოქროს საწმისი, დიდებული შენობა-ნაგებობები, სახლ-კარი, ოჯახი, ვეფხისტყაოსანი, ქართველი ქალი... სწორედ ამ

ყველაფერთან ასოცირდება პოეტისთვის სამშობლო და მათ უძღვნის ლექსებს პირველ ქვეთავში.

განსხვავებული პრობლემები იკვეთება საქართველოში და ასევე განსხვავებული – ვრცელ ქალაქებში, პოეტი მათ თვალნათლივ გვანახებს მეორე ქვეთავში.

მოხსენებაში საუბარია კრებულის – „ლურჯი მონოკლი“ – რამდენიმე პოეტურ ნიმუშზე („ნაპარტახალი“, „დედას“, „დამშვიდობება“, „ვრცელი ქალაქები“, „ბარში“).

წარმოდგენილი ლექსების საფუძველზე შევეცდებით გავაანალიზოთ, რა მდგომარეობა იყო იმ დროისათვის საქართველოსა („ოქროს ვერძის ქვეყანა“) და უცხოეთში („ვრცელ ქალაქებში“). მწერალი ემიგრაციაში ყოფნის დროს, პარიზში, აქვეყნებს კრებულს, მოვლენებს აფასებს ობიექტური თვალით, მისთვის ცნობილია ორივე ქვეყნის მდგომარეობა და არ არის შეზღუდული ცენზურით.

ნინა ზიგერი

გერმანელების საქართველოში ჩამოსახლების ისტორიიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
საქართველო, გერმანელების ჩამოსახლება,
ვიურტემბერგელი შვაბები

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ორ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველებსა და გერმანელებს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობს. ესაა, უმთავრესად, თანაცხოვრების, თანამშრომლობის უაღრესად საინტერესო ისტორია ხელოვნების სხვადასხვა დარგში: მხატვრობაში, არქიტექტურასა და სხვა სფეროში. თავისთავად საინტერესოა საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელი ხალხის ისტორია.

გერმანელების, კერძოდ ვიურტემბერგელი შვაბების, მიგრაციას მრავალი მიზეზი ჰქონდა: რთული სოციალური და ეკონომიკური ვითარება და რელიგიური პრობლემები. საქართველოში 1820 წლისთვის არსებობდა უკვე რამდენიმე გერმანული კოლონია: მარიენფელდი, ალექსანდერსდორფი, ნოი--ტიფლისი, ელიზაბეტთალი, კატარინენფელდი და პეტერსდორფი. გერმანელებმა XX საუკუნეში დააარსეს ასევე გეორგსტალი, ტრაუბენბერგი, ვიზენდორფი და სხვა დასახლებები.

ჯერ კიდევ გენერალ ერმოლოვის მმართველობის პერიოდში XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ხელისუფლებამ ჩამოასახლა გერმანელი „კოლონისტები“. რუსეთის მიერ, ეკატერინე II-ის ინიციატივით, აქტიურად ხორციელდებოდა ევროპელთა, კერძოდ კი, გერმანელთა მიწვევა და ჩასახლება სამხრეთ ტერიტორიებზე.

გერმანიაში არსებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა საქართველოში და, ზოგადად, კავკასიაში 1817-1819 წლებში გერმანელთა ჩამოსახლება. მათ დასახლებებს 1848 წლამდე უწოდებდნენ „საქართველოს გერმანულ კოლონიებს“. შემდგომ კი ამ დასახლებებს „ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებად“ იხსენიებენ. ჩამოსახლებული გერმანელები ძირითადად საუბრობდნენ შვაბურ დიალექტზე.

საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელები ეწეოდნენ ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობას. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ასევე იზიდავდა გერმანელ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა გამორჩეულ წარმომადგენლებსაც. კერძოდ, მკვლევრებს, მხატვრებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს ეკონომიკურ-კულტურულ განვითარებაში.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ გერმანული კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებზე (პ. ფრანკენის, ო. შმერლინგის, რ. ზომერის, ა. ზალცმანისა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე), რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

მარიამ კობახიძე

კულტურათა დიალოგის თანამედროვე ინტერპრეტაცია მამუკა ცეცხლაძის 90-იანი წლების შემოქმედებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
კულტურა, დიალოგი, მამუკა ცეცხლაძე

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

აღმოსავლური და დასავლური ვიზუალური ხელოვნების ურთიერთმიმართებისა და ურთიერთგავლენის საკითხი არაერთხელ გამხდარა ხელოვნებათმცოდნეთა განსაკუთრებული ინტერესის საგანი. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში, საუკუნეთა მიჯნაზე გააქტიურებული გლობალიზაციის პროცესისა და მზარდი მიგრაციების კონტექსტში, ამ კომპლექსურმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა.

ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისის ტფილისური ავანგარდის წარმომადგენელთა მიერ წარმატებით ადაპტირებულმა და ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობასთან ნაზიარებმა დასავლურმა ვიზუალურმა სახვითმა ენამ, გორბაჩოვისეული „გარდაქმნის“ ხანის 90-იანელთა ახალგაზრდა თაობის ხელოვანთა შემოქმედებაში, განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ჟღერადობა და აქცენტები შეიძინა.

წარსული სისტემის მსხვრევისა და ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ფორმირების მტკივნეულმა პროცესმა, რომელიც მზარდი ნაციონალიზმის, სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე მიმდინარეობდა, ახალგაზრდებში პროტესტის გრძნობა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისადმი კრტიკული დამოკიდებულება გამოიწვია, რაც ახალი ვიზუალური ფორმების ძიებაში გამოიხატა.

ამ მხრივ, ყველაზე რადიკალური შემოქმედებითი ჯგუფის, „მეათე სართულის“, წევრების მოღვაწეობა, რამაც გარკვეულწილად ბიძგი მისცა უახლესი ქართული ხელოვნების განვითარებას, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

მოხსენების მიზანია სწორედ კულტურათა დიალოგის თანამედროვე ინტერპრეტაციის ანალიზი, „მეათე სართულის“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრის – მხატვარ მამუკა ცეცხლაძის 90-იან წლებში შესრულებული ნამუშევრების მაგალითზე. განხილული იქნება ის ვიზუალური სტრატეგია, რომელიც მხატვარმა აირჩია სხვადასხვა ეპოქის კულტურათა სიმბოლოების ერთიან ვიზუალურ სისტემაში მოქცევითა და რეინტერპრეტაციით.

მარიამ ლეგაშვილი

კარლო კაჭარავას „სიბნელის ხელოვნება“ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს სოციალურ და კულტურულ კონტექსტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ხელოვნებათმცოდნეობა, ავანგარდიზმი, კარლო კაჭარავა

ხელმძღვანელი:
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

1986 წელს სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე ახალგაზრდა ქართველმა ხელოვანებმა დაარსეს ქართული ავანგარდული ჯგუფი, რომელსაც შემდგომში „მეათე სართული“ ეწოდა. ჯგუფის მთავარი იდეოლოგი და თეორეტიკოსი პროფესიით ხელოვნებათმცოდნე და, ამავე დროს, მხატვარი კარლო კაჭარავა იყო.

ჯგუფში შემავალ ახალგაზრდა მხატვრებს მოღვაწეობა მიხეილ გორბაჩოვის საჯაროობის პოლიტიკის, საქართველოში ეკონომიკური კოლაფსით გამოწვეული არეულობის, ნაციონალიზმის გაღვივებისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მოუხდათ.

შემთხვევით არ ეწოდება უდროოდ გარდაცვლილი 30 წლის კარლო კაჭარავას ბოლო დაუმთავრებელ ნამუშევარს „სიბნელის ხელოვნება“, რომელსაც იგი 11 დღის განმავლობაში სიბნელეში, სანთლის შუქზე ხატავდა.

მოხსენების მიზანია კარლო კაჭარავას ამ სურათის განხილვა ფართო ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში. ნაჩვენები იქნება ამ ნამუშევრის სათაურისა და მხატვრული კონცეფციის სემანტიკური ქვეტექსტი და მისი მიმართება თანადროულ ქართულ და დასავლეთ ევროპის სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე პროცესებთან.

ამავე დროს, წარმოდგენილი იქნება მხატვრის ვიზუალური დიალოგი გერმანული ექსპრეზიონიზმის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კი, ავტორის საყვარელი მხატვრის – ერნსტ ლუდვიგ კირხნერისა და დავით კაკაბაძის ნამუშევრებთან. განხილული იქნება ის მიზეზები, რომელთაც განაპირობეს კარლო კაჭარავას მხატვრული მსოფლმხედველობისა და ვიზუალური სახისმეტყველების ფორმირება, ასევე მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ „მეათე სართულის“ ჯგუფის წევრთა ვიზუალური აზროვნების, არამედ უახლესი ქართული ხელოვნების ძირითადი მიმართულების განსაზღვირსათვის.

ნინო ლევერაშვილი

ქართული საეკლესიო გალობა და საზოგადოებრივი აზრი პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918–1921 წწ.)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
გალობა, პირველი რესპუბლიკა, პრესა

ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი მიხეილ ქართველიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა არსებობის ხანმოკლე პერიოდს მოიცავს, მასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი საინტერესო თემაა საკვლევი. ჩვენი ინტერესი შეჩერდა ქართულ საეკლესიო გალობაზე, რომელიც ქართული კულტურის განსაკუთრებული ნაწილია. მასში აღბეჭდილია ერის თვითმყოფადობა, მუსიკალური აზროვნება, მსოფლმხედველობა, შემოქმედისადმი დამოკიდებულება. მისი ისტორია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირსიტყვიერებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ კი მის არსებობას დიდი საფრთხე დაემუქრა, დღითიდღე ქრებოდა და იკარგებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ქართული საეკლესიო გალობა ერის თვითმყოფადობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მასაც დიდი ყურადღება მიაქცია, ამიტომაც ამ პერიოდიდან მოყოლებული

პრესაში საკმაოდ აქტიურად იბეჭდებოდა გალობასთან დაკავშირებული საკითხები.

საინტერესოა საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ რა ვითარებაა ამ მიმართულებით, როგორია საზოგადოებრივი აზრი. მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პრესა, სადაც გაშუქებულია, თუ რა პრობლემებს წააწყდა ახლად დამოუკიდებლობააღდგენილი ეკლესია გალობის მიმართულებით, როგორ ცდილობს მის გადაჭრას ერი თუ ბერი, როგორია მთავრობის პოლიტიკა ეკლესიის მიმართ, სასულიერო პირების დამოკიდებულება ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკისადმი, რა გავლენას ახდენს ამ ყველაფერზე ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობა.

ირაკლი ლეონიძე

1922 წელი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
კონსტიტუცია, სახელმწიფო, უფლებები

ხელმძღვანელი:
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი თამარ ზოიძე

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული დღეს მოქმედი კონსტიტუცია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს უმაღლესი კანონია. ლოგიკურია, რომ სწორედ 2021 წელს აღინიშნა პირველი კონსტიტუციის ასი წლის იუბილე და არა 2022 წელს, თუმცა მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის საუკუნოვან დატვირთვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლის ისტორიაში.

1922 წელი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიის გარდამტეხი წელია. 1922 წლის 2 მარტს საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამ გადაწყვეტილებით ყრილობის მიერ უარყოფილი იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის პირველი კონსტიტუცია და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს რევოლუციური კომიტეტი გმობდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, რესპუბლიკის ტერიტორიას, ძირითად

უფლებებსა და სახელმწიფო გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების მოწესრიგებას.

1921 წლის 21 თებერვლის პირველი კონსტიტუციის წინააღმდეგ ამოქმედებული „ახალი“ კონსტიტუცია დამპყრობელი პარტიული ძალის გავლენის ქვეშ აქცევდა ყველა ძირითად საკითხს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამ და პირველი კონსტიტუციის პრაქტიკულად ამოქმედების შეუძლებლობამ/ კონსტიტუციის მისაღებად არასაკმარისმა დრომ, წარმოშვა ნიადაგი რევკომისთვის, რომ განეხორციელებინათ მოქმედებები საბჭოთა სახელმწიფოს მიმღებლობის ფორმირებისთვის. 1922 წელს ჩატარდა საბჭოების პირველი არჩევნები, ხელისუფლების ფორმალური ლეგიტიმაციის მიზნით შეიქმნა არამიზნობრივი ავტონომიები და დანაწევრდა სახელმწიფოს ტერიტორია.

ამდენად, 1922 წლისთვის საქართველოს მოსახლეობას ორი კონსტიტუცია ჰქონდა, თუმცა პრაქტიკულად ვერც ერთი ვერ უზრუნველყოფდა უფლებათა დაცვას. პირველი კონსტიტუცია ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობად გადაიქცა, ხოლო საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე დაკანონდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიათა ანტისახელმწიფოებრივი დანაწევრება და სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის უფლებათა სფეროში.

ქეთევან მამესწარაშვილი

წარწერის სემანტიკური მნიშვნელობა XX საუკუნის 80–90–იანი წლების ქართველ მხატვართა ხელოვნებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ვიზუალური ხელოვნება, ქართული ხელოვნება, კულტურული კოდი

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლები ქართული ვიზუალური ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გარდამტეხი ხანაა, რომელმაც სარკესავით აირეკლა ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტით განპირობებული ცვლილებები. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა მთავარ ამოცანას საერთაშორისო სახელოვნებო სივრცესთან კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გაწყვეტილი კავშირების აღდგენა და საკუთარი თვითგამორკვევის რთული ფსიქოლოგიური პროცესისა და ახალი არტისტული იდენტობის შესატყვისი ვიზუალური სახისმეტყველების ფორმირება წარმოადგენდა.

როგორც ამ თაობის ქართული სახელოვნებო სივრცის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე და მხატვარი კარლო კაჭარავა აღნიშნავდა, ახალგაზრდა ქართველ მხატვართა მიერ პირველად გაცხადდა, რომ მხატვრობა გაცილებით მეტი იყო არსებულ დოგმატურ ჩარჩოებში მოქცეულ

წარმოდგენაზე მის შესახებ, რადგან მათ პირველად გაუჩნდათ სურვილი მხატვრობის ენით გაცილებით მეტი გამოესახათ, ვიდრე ეს უკვე მიღებული „ფერწერული“ ამოცანებით მანიპულირება იყო.

ამ პროცესში ახალგაზრდა ქართველ მხატვართა მიერ არაერთი ინტერნაციონალური კულტურული კოდი იქნა გამოყენებული, რომელთა ადაპტირება, ტრანსფორმირება და ლოკალურ რეალობასთან მისადაგება მოხდა. ასეთი კულტურული კოდები, თავისი სემანტიკური მნიშვნელობით, ხელოვნების ფუნქციის ხელახლა განსაზღვრის სხვადასხვა მოდელს აჩვენებდა და ისტორიის, განსხვავებული კულტურებისა და მსოფლმხედველობის შეხვედრისა და, ზოგ შემთხვევაში, თანხვედრის ილუსტრირებას ახედენდა.

მოხსენებაში განხილული იქნება ერთ-ერთი ასეთი კულტურული კოდი, კერძოდ, მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველ მხატვართა ვიზუალურ პროდუქციაში ჩართული წარწერების სემანტიკური მნიშვნელობა, როგორც ლოკალურ, ასევე ინტერნაციონალურ კონტექსტში. შესაბამისად, გაანალიზებული იქნება ამ პერიოდის ქართული სახელოვნებო სივრცის მიმართება საერთაშორისო არტ სცენაზე მიმდინარე პროცესებთან.

ვალენტინა მაღლაკელიძე

პოლიტიკური პროპაგანდის ფუტურისტული ვერსია – ბენიტო მუსოლინის სახე მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების იტალიურ ხელოვნებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ბენიტო მუსოლინი, პორტრეტები,
მე-20 საუკუნის იტალიური ხელოვნება

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 20-იანი წლების იტალიაში ფუტურისტი პოეტის – ფილიპო ტომაზო მარინეტისა და ჟურნალისტ – ბენიტო მუსოლინის შეხვედრამ რადიკალურად შეცვალა ქვეყნის ისტორია. მარინეტის ფუტურისტულმა კონცეფციამ, რომელშიც უფრო ადრე იქნა ჩამოყალიბებული ფაშისტური იდეები, ვიდრე ის პოლიტიკური მოძრაობის სახეს მიიღებდა, მუსოლინის დიქტატურაში უკვე სახელმწიფო იდეოლოგიის სახე მიიღო.

უკვე ქვეყნის სათავეში მოსულმა და თანადროული პიარ-ტექნოლოგიების კარგად მცოდნე მუსოლინიმ ყველა დიქტატურისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური პროპაგანდის მთავარ ინსტრუმენტად ვიზუალური ხელოვნება გამოიყენა. მისი ხელმძღვანელობით სტრატეგიულად კონსტრუირებულ პროპაგანდისტულ მანქანაში დუჩეს პორტრეტს განსაკუთრე-

ბული იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა ქვეყნის წარსულის ნოსტალგიიდან მომავლის უტოპიაში ტრანსფორმირების პროცესში.

ფუტურისტული იდეებით გატაცებული ბელადი სწორედ ფუტურიზმისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნებით იქნა პორტრეტირებული. თუმცა, მისი მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე დიქტატორის სახის ვიზუალური იკონოგრაფია გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა.

მოხსენებაში განხილული იქნება მუსოლინის სახის ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების იტალიურ ხელოვნებაში და წარმოდგენილი იქნება ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს ამ პორტრეტების ვიზუალური მახასიათებელების ცვლილების პოლიტიკური კონტექსტი. ნაჩვენები იქნება როგორც მუსოლინის პორტრეტები, ასევე კედლის მხატვრობის ის ნიმუშები, სადაც დუჩე უკვე არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალი, არამედ, როგორც ისტორიული პროცესების ლიდერია გამოსახული.

ქრისტინე მიქავა

სოციალიზმი, როგორც თანამედროვე ჩინური ხელოვნების ინსპირაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ჩინური ხელოვნება, მხატვრები, ინსპირაცია

ხელმძღვანელი:
ასისტენტ-პროფესორი ნანა გულიაშვილი

შორეული აღმოსავლეთი და განსაკუთრებით, ჩინეთი დღეს ძალიან დიდ ინტერესს აღძრავს მსოფლიოში, მისი კულტურის ნებისმიერი სფერო აღფრთოვანებას იწვევს ადამიანებში. განსაკუთრებულია თანამედროვე ჩინელი ხელოვანების ხედვა, მათი სტილი და გამოსახვის უნარი. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის როლი დღითიდღე იზრდება, მნიშვნელოვანია სამეცნიერო წრეებში მეტი დრო დაეთმოს ამ ცივილიზაციის შესწავლას.

თანამედროვე ჩინურმა ხელოვნებამ ფეხი აიდგა კულტურული რევოლუციის დასრულების შემდეგ. გახსნილობის პოლიტიკამ მეტი თავისუფლება მისცა მხატვრებს, გამოეხატათ საკუთარი იდეები და გაეცნოთ დასავლელი ხელოვანებისთვის ის, რაც მაოს რეჟიმის დროს იზღუდებოდა. საკუთრივ თანამედროვე ჩინური ხელოვნება შთგონებულია სოციალისტური იდეებით, კულტურული რევოლუციითა და ტიანმენის მოედანზე განვითარებული მოვლენებით. ისტორიის მანძილზე ხელოვნება გამოიყენებოდა, როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკის

წინააღმდეგ და ამასთან, დაუბრკოლებელი შემოქმედებითი გამოხატვის ერთადერთი გზაც იყო. ტერმინი „ცინიკური რეალიზმი“ მიუთითებს აჯანყებაზე და აცხადებს ირონიის იმ დოზას, რომელიც ჩინურ ომისშემდგომ ხელოვნებაში წარმოდგენილია მისი ნამუშევრებით. ძალიან ხშირად ჩინეთის მთავრობა ხელოვანებს ცენზურას უწესებდა. ამ არაგონივრული გადაწყვეტილებებით კულტურის განვითარების წინააღმდეგ მიდიოდა და რევოლუციურ იდეებს აღვივებდა.

მოხსენებაში საუბარია ისეთ მნიშვნელოვან თანამედროვე ხელოვანებზე, როგორებიც არიან: სუ პინი, იუე მინჯუნი, სუ იხუეი, ძმები ლოუები და ჭან ხუანი.

ანანო ნატროშვილი

საქართველოში ფრანცისკელ მისიონერთა დაფუძნების ახლებური წაკითხვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
კათოლიკე მისიონერები, საქართველო, ქართული ეკლესია

ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურმან პაპაშვილი

ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის დრამატულ მოვლენებს სულ მალე მოჰყვა კათოლიკე მისიონერთა მათხოვრული ორდენების საქმიანობის გაშლა აღმოსავლეთში. თავისთავად ამ ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა ძირითადად უკავშირდებოდა დასავლეთის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის შიგნით, როგორც სხვადასხვა სახის განხეთქილებების წარმოშობას, ასევე ერეტიკული მოძრაობების აღმოცენებას. უდავოა ის ფაქტი, რომ ქრისტიანული ერთიანობის აღსადგენად გაჩნდა მისიონერული საქმიანობის გაშლის აუცილებლობა. სწორედ ამ ეტაპზე გამოვიდნენ ასპარეზზე ე. წ. ფრანცისკანელთა და დომინიკელთა მათხოვრული ორდენები, რომლებიც XIII საუკუნიდან მოყოლებული იწყებენ მოღვაწეობას.

წერილობითი წყაროების ახლებური წაკითხვის შედეგად დასტურდება, რომ მათხოვრული ორდენების წარმომადგენლების საქმიანობა საქართველოში სწორედ აღნიშნულ პერიოდში იწყება. წყაროების საფუძველზე დგინდება, რომ ფრან-

ცისკელთა საქართველოში საქმიანობის გაშლა ქართული მხარის ინიციატივით 1234 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა, როგორც საგარეო მტრის წინააღმდეგ პაპობის სახით მოკავშირის შეძენას, ასევე სქიზმამდელი განწყობით ეკლესიათა ერთიანობის მიღწევას. ამ კონტექსტში ფრანცისკელი მისიონერები საქართველოში იგზავნებოდნენ არა ქართველების კათოლიკობაზე მოსაქცევად, არამედ ერეტიკოსებს შორის ქრისტიანობის საქადაგებლად. ასევე, საქართველოს სუვერენს მისიონერთა მხარდაჭერით სურდა, რომ ორივე მხარის ინტერესებში საქართველოს მისიონერული უფლებები მინიჭებოდა. საკუთრივ ფრანცისკელ მისიონერებს საქართველოში დაფუძნებით სურდათ, რომ იგი სარკინოზებისა და ურწმუნოების წინააღმდეგ მტკიცე სამისიონერო ბაზად გადაექციათ. ეს გამომდინარეობდა აღმოსავლეთის ქრისტიანებში კათოლიკე მამების ვალდებულებებიდან, რომ ადგილობრივ ქრისტიანებში დაენერგათ მოვალეობის გრძნობა, რათა მუსლიმები „გაენათლებინათ“, ანუ მათში დაეწყოთ მისიონერული საქმიანობა. ეს ფაქტი მიუთითებდა იმაზე, რომ ქართულ-მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის არსებულ განსხვავებებზე ამ ეტაპზე არც ერთი მხარე ყურადღებას არ ამახვილებდა. ქართული ეკლესია რომთან ურთიერთობაში სქიზმამდელ დამოკიდებულებას იჩენდა, ხოლო წმინდა ტახტი ქართულ ეკლესიას სქიზმაში მონაწილედ არ მიიჩნევდა. ამ განწყობით ორივე ეკლესია გარეგნულად ერთიანობას ინარჩუნებდა.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

ქართველი ისტორიკოსების პოზიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან XX საუკუნის 40-იან წლებში გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ იმავე საუკუნის 80-იან წლებში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
თურქი მესხები, სამცხე-ჯავახეთი,
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი მიხეილ ქართველიშვილი

1944 წელს ისტორიული მესხეთის ტერიტორიიდან ცენტრალურ აზიაში საბჭოთა ხელისუფლებამ დაახლოებით 100 ათასი ადგილობრივი მკვიდრი გადაასახლა. აღნიშნული გადაწყვეტილებისთვის მამოტივირებელ ოფიციალურ მიზეზად დასახელდა მეზობელ, გერმანიის მოკავშირე თურქეთთან შესაძლო კავშირი, ბანდიტიზმი, საბჭოთა დამნაშავეების საზღვარზე გადაყვანა. უზბეკეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში მათთვის სპეციალური ზონები შეიქმნა, სადაც ისინი დაასახლეს და სპეციალური ნებართვის გარეშე მისი დატოვების უფლება არ ჰქონდათ. 1989 წლის მაის-ივნისში ადგილობრივებსა და დეპორტირებულ მოსახლეობას შორის დაპირისპირებამ სისხლისმღვრელი ხასიათი მიიღო, რის გამოც დეპორტირებულებმა აქტიურად დაიწყეს საქართველოში დაბრუნებაზე ფიქ-

რი, საუბარი და მუშაობა. ამ დროს საქართველოში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია უკვე მომხდარია, რის შემდეგაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების დე-ფაქტო მმართველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათ უნდა გადაეწყვიტათ, ექნებოდათ თუ არა დეპორტირებულებს ჩამოსახლების უფლება. საკითხის განხილვამ საკმაოდ ფართო სახე მიიღო. როგორც მაშინ თავადვე აღნიშნავდნენ, დღე არ გადიოდა, რომ თურქი მესხების საკითხზე რაიმე ახალი მოსაზრება არ გამოქვეყნებულიყო გაზეთებში. აღნიშნულ განხილვებში ჩართულნი იყვნენ როგორც პოლიტიკოსები, ისე ინტელიგენციის წევრები და ისტორიკოსები. მოხსენებაში სწორედ ამ უკანასკნელი ჯგუფის პოზიციები და მოსაზრებები იქნება განხილული, ვინაიდან სწორედ მათი „განაჩენით“ უნდა ეხელმძღვანელათ პოლიტიკურ წრეებს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღოთ რეპატრიანტთა დაბრუნების თაობაზე.

აღნიშნული მოხსენება ნაწილია კვლევისა, რომელიც მიზნად ისახავს, სრულად ამოწუროს საკითხი, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ქართულ საზოგადოებაში 1980-იან წლებში მესხ რეპატრიანტთა ჩამოსახლების შესახებ.

მოხსენება ძირითადად ეყრდნობა თანადროულ პრესას, რომელშიც უამრავი საინტერესო მასალაა გაბნეული. გარდა გაზეთებისა, გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მოღვაწეების მემუარები და მოგონებები, საიდანაც ბევრი საინტერესო პასაჟი გამოვლინდა.

ქრისტინე შუკვანი

ჯონ ევერეტ მილეს „ოფელია“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ოფელია, ხელოვნება, ფერწერა

ხელმძღვანელი:
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

მე-19 საუკუნის ცნობილი ინგლისური სამხატვრო ჯგუფის – „პრერაფაელიტების საძმოს“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა – ჯონ ევერეტ მილემ 1852 წელს დაასრულა მუშაობა თავის ყველაზე ცნობილ ტილოზე „ოფელია“, რომელიც ამჟამად ლონდონის „ტეიტის“ სახვითი ხელოვნების გალერეაშია დაცული.

როგორც ნამუშევრის სათაურიდანაც ჩანს, იგი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ცნობილი ნაწარმოების – „ჰამლეტის“ სიუჟეტის მიხედვითაა შექმნილი. სურათი ასახავს პიესის მეოთხე აქტის მეშვიდე სცენას, რომელიც დედოფალ გერტრუდას მონათხრობით გადმოსცემს ოფელიას სიკვდილის ეპიზოდს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ევერეტ მილეს ეს ნამუშევარი ბრიტანულმა საზოგადოებამ თავდაპირველად საკმაოდ კრიტიკულად მიიღო, დროთა განმავლობაში იგი მე-19 საუკუნის ინგლისური ფერწერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი გახდა და დღესაც განსაკუთრებული პოპულარობით

სარგებლობს ხელოვნების მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის.

მოხსენებაში განხილული იქნება, თუ რატომ გააკეთა მხატვარმა არჩევანი შექსპირის გმირზე და როგორი იყო ამ ნაწარმოების შექმნის ისტორია. გაანალიზებული იქნება, როგორც მხატვრის ტილოს ლიტერატურული პირველწყარო, ასევე მისი მიმართება სურათის იკონოგრაფიულ დეტალებსა და მათ სიმბოლურ მნიშვნელობაზე. ასევე ნაჩვენები იქნება ჯონ ევერეტ მილეს „ოფელიას“ გავლენა როგორც თანადროულ, ასევე მე-20 და 21-ე საუკუნეების ვიზუალურ ხელოვნებასა და კინემატოგრაფიაზე.

მარიკა ჭითანავა-ლობჟანიძე

წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
მარკოზი, ლიტურგია, ალექსანდრია

ხელმძღვანელი:
თსუ სრული პროფესორი თინა დოლიძე

წმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია საზოგადო ღმრთისმსახურების ერთ-ერთ ადგილობრივ ტრადიციულ სახედ მიიჩნევა და დღემდე აღესრულება როგორც ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოში, ასევე საბერძნეთისა და ამერიკის რამდენიმე ქალაქში წმიდა მახარებლის ხსენების დღეს, 25/8 აპრილს.

მარკოზის ლიტურგიის შესახებ უძველეს წერილობით დადასტურებას ვპოვებთ მეოთხე საუკუნის პაპირუსზე, თუმცა უნდა ჩამოვთვალოთ ქრისტიანული ეკლესიის ის ბურჯები, რომლებიც ხსენებული მსახურების აღსრულებას ადასტურებენ თავიანთ შრომებში: წმ. ათანასე დიდი, კირილე ალექსანდრიელი, იოანე მოწყალე და სხვები.

დაახლოებით 1200 წლიდან წმიდა მახარებლის ლიტურგია თითქმის აღარ იმსახურება. მიზეზად სახელდება თეოდორე ბალსამონის შენიშვნა კონსტანტინოპოლში მიწვეული ალექსანდრიის იმდროინდელი პატრიარქისადმი. კონსტანტინოპო-

ლის დაცემის შემდგომ მარკოზის წირვა აღევლინებოდა წელიწადში ერთხელ, უშუალოდ მოციქულის დღესასწაულზე.

ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ 1585 წელს მელეტი ალექსანდრიელმა და 1890-ში ნექტარიოს პენტაპოლელმა გადაწერეს დასახელებული წირვის ყველაზე გვიანდელი ხელნაწერი. ეს უკანასკნელი გამოიცა მე-20 საუკუნის შუა პერიოდში ჯერ საბერძნეთში (1955 წ.), ხოლო შემდეგ კი – ეგვიპტეში (1960 წ.).

თავად მსახურების სტრუქტურა ბევრ საინტერესო ლიტურგიკულ პასაჟს შეიცავს. აქვე დავძენთ, რომ ამ ადგილობრივ ტრადიციულ ლიტურგიას, სხვებისგან განსხვავებით, დიდი ცვლილებები არ განუცდია, არამედ თავისი პირვანდელი ფორმა და მნიშვნელობა შემოინახა.

გასული საუკუნის ბოლოსათვის მანჰეტენის ეპარქიის ეპისკოპოსმა იერონიმემ 1997 წელს ინგლისურად თარგმნა მახარებლის წირვის წმიდა ნეკტარიოსისეული ვერსია და ათი წლის შემდეგ პირველად აღესრულა ჯორდანვილში. 2007 წლიდან სრულიად რუსეთის იმჟამინდელ პატრიარქის ალექსი II-ის ლოცვა-კურთხევით სპეციალური კომისია შედგა ლიტურგიის შესწავლისა და რედაქტირებისათვის.

დღეისათვის დიპტიქში შემავალი რამდენიმე მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია წმიდა მარკოზის მოწამეობრივად აღსრულების დღეს უშუალოდ მის სახელთან დაკავშირებულ ლიტურგიას აღავლენს.

მარიამ ჭიჭიკოშვილი
ელენე კუკავა

სანქციების როლი აშშ-ირანის კონფრონტაციაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
სანქციები, ეკონომიკა, ბირთვული პროგრამა

ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი თეა პიტიურიშვილი

სანქციები, როგორც ზემოქმედების საშუალება, სამხედრო ქმედებების ყველაზე ძლიერ და ეფექტურ ალტერნატივად განიხილება თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში.

თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად უწესებენ სანქციებს ირანის ისლამურ რესპუბლიკას სხვადასხვა სახის მიუღებელი პოლიტიკის საპირისპიროდ. შესაბამისად, აღნიშნული კონტრზომები მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების პროცესში, ისე ქვეყნის იზოლაციაში.

ირანის წინააღმდეგ პირველი სანქციები აშშ-ის მთავრობამ თეირანში ამერიკის საელჩოს თანამშრომლების მძევლად აყვანის შემდგომ, 1979 წელს დაამტკიცა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკისთვის საგრძნობლად დამაზარალებელი აღმოჩნდა 2012 წლიდან დაწესებული შეზღუდვები, რომელთა სამიზნე ირანის ენერგეტიკისა და ფინანსური სფეროები გახდა. ამ პერიოდიდან დაწესდა სრული ემბარგო ირანულ ნავთობზე და

მისი წარმოება დღეში 2.5 მილიონი ბარელიდან 1.1 მილიონ ბარელამდე შემცირდა. ენერგეტიკულ სფეროში არსებული სანქციები ირანის ნავთობმრეწველობას ზღუდავს და საშუალებას არ აძლევს აწარმოოს, გაყიდოს და გაიტანოს ნავთობი და გაზი, ქვეყნის მთავარი რესურსი.

ფინანსურმა სანქციებმა ირანის ეკონომიკა და ტრანზაქციები საერთაშორისო ფინანსური სისტემებისგან სრულად იზოლაციაში მოაქცია, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ინფლაციისა და უმუშევრობის დონის სწრაფი ზრდა ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის სანქციები, გაეროს მიერ ირანის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებთან შედარებით, გაცილებით მტკივნეულია და ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმართვის პერსპექტივას მნიშვნელოვნად ართულებს.

საინტერესოა ისიც, რომ ამერიკის სანქციების პირობებში თუ კომპანია ირანთან თანამშრომლობას გადაწყვეტს, იგი ავტომატურად წყვეტს ბიზნეს ურთიერთობებს ამერიკასთან. დღეისათვის, სანქციების მიუხედავად, ცალკეული სახელმწიფოები ირანისგან ნედლ ნავთობს შეისყიდიან.

მარიტა ხარშილაძე

1590 წლის სტამბოლის ზავი და საქართველო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები:
ირან-ოსმალეთი, საქართველო, სტამბოლის ზავი

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი მირიან მახარაძე

XVI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ბედი გადაჯაჭვული იყო ირან-ოსმალეთის ურთიერთობებთან. კერძოდ, 1514 წლიდან, ჩალდირანის ბრძოლით იწყება ამ ორი ისლამური სახელმწიფოს თითქმის საუკუნოვანი დაპირისპირება, სადაც საქართველო მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა. სამხრეთ კავკასიაში გაბატონების სურვილი კონფრონტაციის ორივე მხარეს გააჩნდა, შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების განაწილება ირან-ოსმალეთის კონფლიქტის საბოლოო შედეგებზე იყო დამოკიდებული.

1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ ოსმალეთსა და ირანს შორის ე. წ. მშვიდობა თითქმის 30 წელი გაგრძელდა. სულეიმან I და სელიმ II ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების მომხრეები იყვნენ, თუმცა 1578 წელს ირან-ოსმალეთს შორის შეთანხმება ახალი ომის დაწყებით ისევ დაირღვა და საქართველო კვლავ ბრძოლის ველად იქცა. სულთნის ერთერთი მთავარი მიზანი სეფიანთა ირანის გავლენის ქვეშ მყოფი ქართული მიწების დაპყრობა გახლდათ. ლალა მუსტაფა ფაშას წარმატებულ ლაშქრობას ოსმალთა მიერ თბილისის დაკავე-

ბაც მოჰყვა თან. ქართველთა მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც 1587 წ. ირანის ტახტი შაჰ აბას I-მა (1587-1629) დაიკავა. მეფე სიმონ I-ის (1578-1599) და ფერ-ჰად ფაშას დაზავების შემდგომ ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება განახლდა. ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი და ხან-გრძლივი დაპირისპირება სტამბოლის ზავით დასრულდა, რის საფუძველზეც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა გავლენის სფეროები გადაინაწილეს. ოსმალეთი მთლიანად დაეპატრონა სამცხეს, დანარჩენი საქართველოს ტერიტორიები კი მათ შო-რის ნაწილდება. აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) ირანს დარჩა, დასავლეთი საქართველო და მთლიანად სამცხე-საათაბაგო – ოსმალეთს.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამ ორი დიდი სახელ-მწიფოს დაპირისპირების მიზეზები, ომის მსვლელობა, საქარ-თველოს ადგილი აღნიშნულ კონფლიქტში, სტამბოლის ზავი და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის.